#298 2013 წლის 26დეკემბერი ქ. თბილისი

სასაზღვრო ზოლში კომერციული ბანკებისათვის გარკვეული სამეურნეო საქმიანობის დაშვების შესახებ

„საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბაჟო-გამშვებ პუნქტებში: „წითელი ხიდი“, „სადახლო“, „ლაგოდეხი“, „სარფი“, „ვალე“, „ნინოწმინდა“ და „გუგუთი“ დაშვებულ იქნეს გარკვეული სახის სამეურნეო საქმიანობა, კერძოდ, კომერციული ბანკების მომსახურების ცენტრების საქმიანობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ირაკლი ღარიბაშვილი